

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების თანახმად, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- 1) 2013 წელს საკრებულოს წევრებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული პრემიების ოდენობა თვეების მიხედვით;
- 2) 2013 წელს საკრებულოს წევრებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობა თვეების მიხედვით;
- 3) 2013 წელს საკრებულოს თანამშრომლებზე (საერთო ოდენობა) დარიცხული პრემიების ოდენობა თვეების მიხედვით;
- 4) 2013 წელს საკრებულოს თანამშრომლებზე (საერთო ოდენობა) დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობა თვეების მიხედვით;
- 5) 2014 წლის მარტის თვეში საკრებულოს თავმჯდომარის სამუშაო ელექტრონული ფოსტიდან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლები;
- 6) საკრებულოს თავმჯდომარის და მისი მოადგილეების უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ქსეროასლები;
- 7) 2013 წელს საკრებულოს მიერ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები; (კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალის, თითოეულზე დახარჯული თანხის, ღონისძიების ჩატარების დროის, ადგილისა და მოწვეულ სტუმართა, და თქვენი დაწესებულებისგან წარმოდგენილ დამსწრე პირთა ოდენობის მითითებით);
- 8) 2013 წელს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის თანახმად, შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობის შესახებ შესაბამისი მიწერილობა (წერილობითი შეთანხმება) შემსყიდველის ზემდგომ ან სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან/თანამდებობის პირთან;
- 9) 2013 წელს გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვების სია, შესყიდვის სახეობის, მოცულობის, ობიექტისა და თანხის მითითებით;
- 10) იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებების სია, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების მოქმედი კანონმდებლობით ახალი, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებით, ჩანაცვლდა (თითოეულის მიმართ ახალი ღირებულებისა და ჩასანაცვლებელი ქონების შეფასებული ღირებულების მითითებით);

- 11) საკრებულოს ბალანსზე რიცხული ავტომობილების ჩამონათვალი (ავტომობილის მოდელის, ავტომობილის გამოშვების წელის, შესყიდვის თარიღის, შესყიდვის ფასის და ნარჩენი ღირებულების მითითებით. ასევე საჯარო მოხელის თანამდებობა, რომელსაც გადაცემული აქვს მფლობელობაში შესაბამისი ავტოსატრანსპორტო საშუალება);
- 12) 2013 წლის აუდიტორული შემოწმების (შიდა, გარე, სახელმწიფო და არასახელმწიფო) აქტები;
- 13) 2013 წელს აუდიტორული შემოწმებების შედეგების ამსახველი ინფორმაციის სამართალდამცავ ორგანოებში გადაგზავნის შემთხვევების რაოდენობა;
- 14) 2013 წელს აუდიტორული შემოწმებების შედეგად დასაქმებულთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევების ოდენობა (პასუხისმგებლობების ფორმის, სახისა და გამოყენების თარიღის მითითებით);
- 15) 2013 წელს მაკონტროლებელი (როგორც შიდა უწყებრივი, ისე გარე) ორგანოების მიერ შემოწმებით გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად გატარებულ ღონისძიებათა ნუსხა (მათი მოკლე აღწერილობის მითითებით);
- 16) 2013 წლის საკრებულოს ბიუჯეტის შესრულების ანგარიში;
- 17) შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28 მუხლის მე-2 ნაწილისა და 37-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად განსაზღვრული სამართლებრივი აქტები.

აღნიშნული ინფორმაცია გთხოვთ მოგვაწოდოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად გთხოვთ ის ინფორმაცია, რომელიც იწარმოება ელექტრონულად ან/და შესაძლებელია მისი ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა, მოგვაწოდოთ ელექტრონული დოკუმენტის სახით შემდეგ მისამართზე - info@idfi.ge, ხოლო დანარჩენი ინფორმაცია ქსეროასლის სახით.

გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი მზად არის, გადაიხადოს „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებელი.

პატივისცემით,

გიორგი კლდიაშვილი

დირექტორი